საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამერიკაკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

| | | |
|---|---|---|
| 1926 წლის აგვისტოს 15. | № 7. განყოფილება პირველი | ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოკვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ. |


## შინაარსი:


მუხ. 682. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სპეციალურად შენაკვეთი საქმის შესრულებისათვის სპეციალური ჯამაგირისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს დანიშვნის წესის თაობაზე“ 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღითა და 26 №-რით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. გამარტივებისა და განვითარების შესახებ.

„ 683. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით ნავარაუდევ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებაზე გადამეტებით მიღებული შემოსავლის სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდში და საბიუჯეტო დეფიციტების დასაფარვად მიქცევის წესის შესახებ.

„ 684. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის შესახებ.

„ 685. შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ მოწყობილი საწარმოში და საწრომო კოლექტივში მოსაქმე დაზღვეულ უმუშევართა აღნუსხვის შესახებ.

„ 686. საფეიქრო ტრესტების საბითუმო ვაჭრობის პრეისკურანტების ფასების წანამატის შესახებ.

„ 687. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთაგან სავაჭრო დავთრების სავალდებულო ხმარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 688. პროფესიონალური კავშირების მიერ სანატორიუმებისა, დასვენების სახლებისა და სათანადო სამკურნალო დაწესებულებისათვის დაქერილი სადგომების საიჯარო სასყიდლის გადახდევინების აკრძალვის შესახებ.

„ 689. დებულება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა, მათ შენაერთთა და რესპუბლიკანურ კავშირების სავალდებულო რევიზიის შესახებ.

„ 690. ა/კ. საგანგებო კომისიის გაუქმებისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს დაარსების შესახებ.

„ 691. ა/კ. ავიოქიმისა და მისი ორგანიზაციების ადგილობრივი გადასახადით და გამოსაღებით დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 692. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის საქალაქო და სამაზრო ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის დებულების გაუქმების შესახებ.

მუხ. 693. ა/კ. რკ. გზ. ლიანდაგისაკენ მიქცეულ მთის კალთებზე და ხეობაში აღმოცენებული ტყეების დაცულ ტყეებად აღიარების შესახებ.

„ 694. ამერიკავკასიის ტერიტორიაზე გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-17 მუხლის შეფარდების წესის შესახებ.

„ 695. ფართლეუულობაზე ცალობითი გაყიდვის დროს წანამატის დაწესების შესახებ.

„ 696. ინსტრუქცია ა/კსფსრ-ში ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შედავათების შეფარდების წესისა და ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტების მისაცემად არსებული ფონდის ხარჯვის წესის შესახებ.


# დადგენილება № 21 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**682. ამერიკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სპეციალურად შენაკვეთი საქმის შესრულებისათვის სპეციალური ჯამაგირისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს დანიშვნის წესის შესახებ 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღითა და 26 №-რით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. გამარტივებისა და განვითარებისათვის.**

„სპეციალურად შენაკვეთი საქმის შესრულებისათვის სპეციალური ჯამაგირისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს დანიშვნის წესის შესახებ“ 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღითა და 26 №-რით გამოცემული დადგენილების (ა|კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 118) მე-3 მუხლის გასამარტივებლად და განსავითარებლად-ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღნიშნული დადგენილების მე 3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა|კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების კომისიები, რომელნიც მოეწყობიან ამა დადგენილების ქვემოაღნიშნული მე-4 მუხლის თანახმად, დაამტკიცებენ-რა სამუშაო ხელფასის თანხასთან განსაზღვრული პროცენტული შეფარდებით სპეციალური ჯამაგირებისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს გასაცემად საჭირო ფონდს, განსაზღვრავენ ამასთანავე ამ ფონდს აბსოლუტური ციფრით, რაც სავალდებულოა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებისათვის და რის შეცვლაც შეიძლება მარტოოდენ ა|კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დასტურით.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**
ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი**

1926 წ. ივნისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1215 №-ში 1926 წ. ივლისის 1-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 22 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**683. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით ნავარაუდევ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებებზე ნამდვილი შემოსავლის გადანამეტის სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდში და საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად მიქცევის წესის შესახებ.**

„ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. აპრილის 27 ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 435) დადგენილების მე-17 მუხ. მე 2 შენიშვნის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დამტკიცებული ბიუჯეტებით ნავარაუდევ დანიშნულებებზე ნამდვილი შემოსავლის გადანამეტების თანხები განისაზღვრება არასაგადასახადო ხასიათის შემოსავლისათვის ცალკე და საგადასახადო შემოსავლისათვის ცალკე უკეთუ ამ ორი ჯგუფის შემოსავლის ფარგლებში ამა თუ იმ პარაგრაფით გადამეტება მოხდა, ხოლო სხვა პარაგრაფითდანაკლები,—ნამდვილ გადანამეტად თვითეული ამ ორი ჯგუფისათვის ითვლება განსხვავება გადანამეტის თანხასა და დანაკლების თანხას შორის უწყვეტული ჯგუფის ყველა პარაგრაფების მიხედვით.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით ნავარაუდევ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებებზე ნამდვილი შემოსავლის გადანამეტების საბოლოო თანხები მთელი საბიუჯეტო წლისათვის განისაზღვრება საბიუჯეტო წლის გასვლისას, რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების წლიური საბუხჰალტრო ანგარიშების თანახმად.

3. ვიდრე, წინა მუხლის წესისამებრ, განსაზღრულ იქნებოდეს მთელი საბიუჯეტო წლისათვის ნავარაუდევ შემოსავალზე ნამდვილი შემოსავლის გადანამეტის საბოლოო თანხა, გადანამეტი ესე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, შეიძლება მიქცეულ იქნეს—რესპუბლიკანური ბიუჯეტით აღრიცხული ორასაგადასახადო შემოსავლისა—სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდში, ხოლო საგადასახადო შემოსავლისა (ბიუჯეტით სათანადოდ აღრიცხული გადასახადი)—ამ რესპუბლიკის საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად, თანახმად შემოსავლის წინასწარი ანგარიშგებისა; ამასთანავე, უკეთუ სათანადო ჯგუფის საერთო შემოსავალი გადაამეტებს სრულ სახარჯთაღრიცხვო წლიურ დანიშნულებას,—გადანამეტის გადარიცხვა მოხდება პირველად მაისის 15 თვის 60% რაოდენობით, მეორედ—საბიუჯეტო წლის ივლისის 1 თვის, ისე-კი, რომ პირველი და მეორე გადანარიცხის საერთო თანხა არ აღემატებოდეს აღნიშნული ჯგუფის შემოსავლის გადანამეტის საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო თანხის 90%-ს. გადანამეტის სრული გადარიცხვა მოხდება ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის სარეზერვო ფონდის გაძლიერება წინა მუხლისამებრ მოხდება ამ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რაც დაუყოვნებლივ უშუალოდ ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უნდა ეცნობოს; ამავე დროს ესევე უნდა ეცნობოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით; ამასთანავე სათანადო მისამართ ქაღალდში აღნიშნული უნდა იყოს ყველა საანგარიშო ცნობა, რაც გაამართლებს გადარიცხულ თანხების სისწორით გამოანგარიშებას.

5. მთელი გასული საბიუჯეტო წლის საბუხჰალტრო წლიური ანგარიშის შედგენის შემდეგ განისაზღვრება ბიუჯეტით ნავარაუდევ არასაგადასახადო წლიურ შემოსავალზე გადამეტებით მიღებული შემოსავლის თანხა და ამის შემდეგ მოხდება საბოლოო ანგარიშის გასწორება აღნიშნული წლის ნავარაურდევ შემოსავალზე, ნამდვილი შემოსავლის გადანამეტის მიხედვით. ამასთანავე, უკეთუ აღმოჩნდება რომ წლის სამი კვარტალისათვის (მე-3 მუხ.) უკვე გადაცემული თანხების გარდა რჩება კიდევ გადანამეტის ესა თუ ის ნაწილი, ამ ნაწილის თანხის მიხედვით გადიდებულ იქნება სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო სარეზერვო ფონდი ახალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტისა; ხოლო, უკეთუ აღმოჩნდება, რომ გადაცემულია მეტი თანხა, ვიდრე ნამდვილი გადანამეტით უნდა ყოფილიყო გადაცემული,—ამ ზედმეტად გადაცემული თანხის რაოდენობის მიხედვით შემცირებულ იქნება ახალი საბიუჯეტო წლის არასაგადასახადო შემოსავლის გადანამეტის მიხედვით გადასარიცხი თანხები.

6. ამა დადგენილების მე-2 მუხ წესისამებრ აღრიცხული (თვითეული გადასახადისათვის ცალკე), ბიუჯეტით ნავარაუდევ საგადასახადო შემოსავლის გადანამეტის თანხებიდან სათანადო რესპუბლიკას შეიძლება გადაეცეს: ა) ის თანხა, რაც შესდგა რესპუბლიკანური გადასახადის შემოსავლის გადანამეტის სახით,—სრულად, ბ) ის თანხა, რაც შესდგა საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიული გადასახადის შემოსავლის გადანამეტის სახით,—იმ პროცენტული რაოდენობით, რომლითაც სათანადო რესპუბლიკას მიკუთვნებული აქვს თვითეული საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიული გადასახადის ანარიცხი—თვითეულ ცალკე გადასახადზე.

7. ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალ იმ რესპუბლიკების საგადასახადო შემოსავლის გადანამეტი, რომელთა ბიუჯეტიც შედგენილია სრულიად უდეფიციტოდ, შეიძლება მიეცეს ამ რესპუბლიკებს მომდინარე წლის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მარტოოდენ ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი დეფიციტიანი ბიუჯეტის მქონე რესპუბლიკების რესპუბლიკანური, საერთო-ფედერატიული და საერთო-საკავშირო გადასახადების შემოსავლის გადანამეტის სახით შემდგარი თანხები შეიძლება გადაეცეს ამ რესპუბლიკების ბიუჯეტში მხოლოდ მთელი დეფიციტის დაფარვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საბიუჯეტო წლის გასვლის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საბუხჰალტრო ანგარიშის შედგენისათანავე.

9. მე-8 მუხლში აღნიშნული გადანამეტი, რაც დეფიციტის დაფარვის შემდეგ შესდგა, ნაჩვენები უნდა იყოს შემდეგი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტში (თვითეული გადასახადისათვის ცალკე) განსაკუთრებული საშემოსავლო მუხლის სახით და შემდეგი სახელწოდებით: „გადმოტანილია წარსული წლის ბიუჯეტიდან, საბიუჯეტო უფლებათა კანონის მე 17 მუხლის თანახმად“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ივნისის 24. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1217 №-ში 1926 წ. ივლისის 3-ს.

# დადგენილება № 23 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## 684. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის შესახებ.

თავისი, 1925 წლის ოქტომბრის I-ლის თარიღისა და 47 №-რის, დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ 1925 წ. მე-10 №-რი, მუხ. 502) შესაცვლელად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შემდეგი შედგენილობა:

1. საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იაშვილი
2. საბჭოს თავმჯდ. მოადგილე ვ. პ. სოკოლი.

**საბჭოს წევრნი:**

3. ე. ბ. შეფტელი } ამიერკავ. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენ.
4. ლ. ბაბაჯანოვი }
5. რიბაკინი აზერბაიჯანის პროფ. კავშ. საბჭოს წარმომადგენელი
6. გ. დ. ყურულოვი—საქართველოს „ „ „ „
7. პ. მ. კუზნეცოვი—სომხეთის „ „ „ „
8. ჩ. ილდრიმბ—აზერბაიჯანის სმუს-ის „
9. ა. ყამარაული—საქართველოს „ „
10. ვ. ა. ცატურიანი—სომხეთის „ „
11. ე. ბ. გენკინი—ა/კ. ფინანსთა სახ. კომის. „

12. გ. ი. ჩხეიძე—ა/კ. რკ. გზის სამმარმველოს წარმომადგენელი
13. გ. მ. ასლანოვი—ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოს „
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ხოკოლოვსკი.**

1926 წ. ივნისის 23. ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1219 №-ში 1926 წ. ივლისის 6-ს.

# დადგენილება № 36 ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა.

1926 წ. ივლისის 5.

**685. შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ მოწყობილ საწარმოში და საშრომო კოლექტივში მოსაქმე დაზღვეულ უმუშევართა აღნუსხვის შესახებ.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ფედერაციის ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წლის ივნისის 15-ს თარიღისა და 131/622 №-რის დადგენილება: „შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ მოწყობილ საწარმოში და საშრომო კოლექტივში მოსაქმე დაზღვეულ უმუშევართა აღნუსხვის შესახებ".

ა/კ. შრომის სახალსო კომისრის
მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის
საერთო-საორგ. განყ. გამგე **გრიგორიანი.**

# დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 ივნისის 15 № 131/622.

**შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ მოწყობილ საწარმოში და საშრომო კოლექტივში მოსაქმე დაზღვეულ უმუშევართა აღნუსხვის შესახებ.**

რათა მოწესრიგებულ იქნეს იმ პირთა სრული აღნუსხვა, ვისაც უფლება აქვს დაზღვევით უზრუნველყოფისა, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ მოწყობილი საწარმო და საშრომო კოლექტივი, რომელიც განთავისუფლებულია სადასაზღვევო გადასახადისაგან, ყოველთვე დადგენილ ვადაზედ წარადგენს სათანადო დამზღვევ სალაროში, ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშის გასწორების ნუსხის ფორმით, ცნობას იმ პირთა რიცხვისა და სამუშაო ხელფასის შესახებ, რომელნიც საწარმოში თუ კოლექტივში მოსაქმეობენ როგორც საშრომო დახმარების გაწევის წესით, ისე ქირავნობით. ყოველთვე წარდგენილ უნდა იქნეს ორი ანგარიშის გასწორების ნუსხა: ერთი—იმ პირთა შესახებ, რომელნიც საწარმოში თუ საშრომო კოლექტივში საშრომო დახმარების გაწევის წესით მოსაქმეობენ, ხოლო მეორე—იმ პირთა შესახებ, რომელნიც საწარმოში თუ კოლექტივში ქირავნობით მუშაობენ; ამასთანავე პირველთა შესახებ შევსებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ნუსხის ტალონი.

2. დადგენილება ესე შემოიღება სამოქმედოდ 1926 წ. ივლისის 1-დან.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სოც. დაზღვევ. ცენტრ სამმართვ. უფროსი **ნემჩენკო.**

სოც. დაზღვ. ცენ. სამ. სტატისტ. განყ. გამგე **ენგელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1219 №-ში 1926 წ, ივლისის 6-ს.

# დადგენილება № 38/89 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ივლისის 3.

## 686. საფეიქრო ტრესტების საბითუმო ვაჭრობის პრეისკურანტების ფასების წანამატის შესახებ.

„ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" ლიტ. თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წლის იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის, დადგენილებისა და 1925 წ. მაისის 13-ს თარიღისა და 41 №-რის დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. საფეიქრო ნაკეთობის ბითუმად გაყიდვა საფეიქრო სინდიკატისა და ყველა იმ კოოპერატიული და სახელმწიფო შენაერთის საწყობებში, რომელთაც ბითუმად ვაჭრობის უფლება აქვთ,—უნდა სწარმოებდეს სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული საფეიქრო ტრესტის პრესკურანტების ფასებზე შემდეგი რაოდენობის წანამატით; თანაც დაფარულ უნდა იქნეს საფრახტო ხარჯი, რაც თვითეულ ფაქტურას ცალკე უნდა დაერიცხოს მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით:

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

| ჯგუფების სახელწოდება . | ბაქოსთვის %-ბით. | ტფილისისთვის %-ბით. | ერევნისათვის %-ბით. | ქუთაისისთვის %-ბით. | განჯისათვის %-ბით. | ბათუმისათ-ვის %-ბით. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბამბისა . . . . . | 10 | 11 | 12 | 12 | 11,25 | 12,35 |
| 2. მატყლისა, კამვოლისა და მაუდისა . . . . . | 7,45 | 7,75 | — | — | — | — |
| 3. სელისა . . . . . | 7,2 | 7,50 | — | — | — | — |

§ 2. ყოველგვარი ძაფის საფეიქრო ნაკეთობის წვრილ-საბითუმო გაყიდვა I-ლი §-ში აღნიშნული ორგანიზაციების საწყობებში უნდა სწარმოებდეს ამა დადგენილების I-ლ §-ში აღნიშნულ ფასებზე 1 პროცენტიანი რაოდენობის წანამატით.

§ 3. ყოველგვარი ძაფის საფეიქრო ნაკეთობის კერძო ბაზარზე გაცემისათვის—წანამატი დაწესებულ უნდა იქნეს 1,5 პროც. რაოდენობით იმ ფასებზე, რაც კოოპერატიული და სახელმწიცო ორგანიზაციებისათვის არის განსაზღვრული.

§ 4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო

კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართ. უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1220 №-ში ივლისის 7-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკფსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**687. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთაგან სავაჭრო დავთრების სავალდებულო ხმარების თაობაზე" 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭოს მიერ „სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთაგან სავაჭრო დავთრების სავალდებულო ხმარების შესახებ" 1925 წ. აპ-

საქართველოს ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ 409) შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

აღნიშნული დადგენილების მე-11 მუხლის მე-2 აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

იმ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა სავაჭრო დავთრების რეგისტრაცია, რომელნიც მოვალენი არიან ანგარიშგება ორმაგი იტალიანური ბუხჰალტერიით აწარმოონ, დაეკისრება ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (სათანადო რესპუბლიკაში) სამმართველოს.

ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (სათანადო რესპუბლიკაში) წარდგენით, სავაჭრო დავთრების რეგისტრაცია განსაკუთრებული დადგენილებით დააკისრონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ტეხნიკურად უფრო მოსახერხებელია, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (სათანადო რესპუბლიკაში) სამყოფელი ადგილის სიშორის გამო იმ ადგილიდან, სადაც ის საწარმოა, რომელმაც თავის დავთრებს რეგისტრაცია უნდა გაუკეთოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღამსრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1224 №-ში 1926 წ. ივლისის 11-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**688. პროფესიონალური კავშირების მიერ სანატორიუმებისა, დასვენების სახლებისა და სათანადო სამკურნალო დაწესებულებისათვის დაჭერილი სადგომების საიჯარო სასყიდლის გადახდევინების აკრძალვის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებათ უფლება არა აქვთ მოსთხოონ ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და მის მიერ გაერთიანებულ პროფესიონალურ ორგანიზაციათ საიჯარო სასყიდელი პროფესიონალურ კავშირთა უშუალო გამგებლობაში ქონებული სადგომებისათვის, რაც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებულია და მოწყობილი სანატორიუმად, დასვენების სახლად და სხვა სამკურნალო და სასანიტარო-ჰიგიენურ დაწესებულებად, გარდა საამორტიზაციო ანარიცხისა, ამორტიზაციის იმ ნორმების თანახმად, რომელიც სადგომის რაიონში მოქმედობს. ზემოაღნიშნული სადგომების მოვლა-პატრონობა და წესიერად შენახვა იმ პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციებს დაეკისრებათ, რომელთა გამგებლობაშიაც ეს სადგომებია, კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების საერთო კონტროლით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული წესები არ გავრცელდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავარ საკურორტო სამმართველოებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების სადგომზე, რომელთა გამოყენების პირობები დადგენილ იქნება რესპუბლიკანურ მთავარ საკურორტო სამართველოებთან შეთანხმებით.

3. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1926 წ. ივნისის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. ხანოიანი.**
ა/კსფსრ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1224 №-ში 1926 წ. ივლისის 11-ს.

# დადგენილება № 24 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**689. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა, მათ შენაერთთა და რესპუბლიკანურ კავშირთა სავალდებულო რევიზიის დებულების დამტკიცების შესახებ**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა, მათ შენაერთთა და რესპუბლიკანურ კავშირთა სავალდებულო რევიზიის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ივლისის 8. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დებულება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა, მათ შენაერთთა და რესპუბლიკანურ კავშირთა სავალდებულო რევიზიის შესახებ.**

1. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა, მათ შენაერთთა და რესპუბლიკანურ კავშირთა მოქმედების ყოველმხრივ შესასწავლად და გასაშუქებლად, მათი საჭიროების გამოსარკვევად, ნაკლთა და გაუგებრობათა ასაცილებლად, აგრეთვე რესპუბლიკანურ კავშირთა მიერ, რევიზიის მასალების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისა და გაძლიერებისათვის და მისი მუშაობის რაციონალურად დაყენებისათვის, საჭირო ღონისძიებათა მისაღებად, — აქსფსრ და მასში შემავალი რესპუალიკების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთ მოვალეობად ჩაეთვლებათ პერიოდულად, საგეგმო წესით, წელიწადში ერთხელ მაინც, მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა, მათ შენაერთთა და კავშირთა სრული და საერთო რევიზია.

**შენიშვნა.** პირველადი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და მის შენაერთთა რევიზიას თვითეული რესპუბლიკის ფარგლებში მოახდენს რესპუბლიკანური კავშირი, რომლის წევრადაც ეს ამხანაგობანია და მათი შენაერთი. რესპუბლიკანური კავშირის რევიზიას მოახდენს აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიურო. ინტეგრალური ტიპის კავშირთა რევიზიას აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიურო მოახდენს აქ. კავშირთან შეთანხმებით და ერთად.

2. რევიზიის დროსა და ვადას განსაზღვრავს რევიზიის მომხდენი კავშირის გამგეობა სარევიზიო მუშაობის საკალენდრო გეგმით. რესპუბლიკანურ კავშირთა სარევიზიო გეგმებს დაამტკიცებს აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიურო

3. რევიზია სწარმოებს აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიუროს და აქსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად.

4. იმ საერთო გეგმითი რევიზიის დამოუკიდებლად, რაც სრულის სისავსით მოიცავს მთლად რევიზიაქმნილი ორგანიზაციების მოქმედებას, კავშირები აწარმოებენ აგრეთვე ნაწილობრივ რევიზიებსაც გეგმის გარეშე, მათ მიერ რევიზია-მოსახდენი ამხანაგობის მოქმედების ამა თუ იმ დარგის გამოსარკვევად, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესრულების შესამოწმებლად, რაც წინა რევიზიების მიერ იყო დასახელებული.

5. რევიზიას აწარმოებენ რესპუბლიკანური კავშირებისა და აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიუროს ინსტრუქტორ-რევიზორები. რევიზიას თანა სდევს რევიზია-მოსახდენი ამხანაგობის მომუშავეთათვის ინსტრუქტორობის გაწევა როგორც რევიზიის პროცესში, ისე რევიზიის დამთავრების შემდეგაც.

6. წარმოებული რევიზიის შესახებ შედგენილ იქნება ფორმალური აქტი, აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიუროს და აქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ დამტკიცებული ფორმით, და მოხსენება.

7. მოხსენება და სარევიზიო აქტი გამრავლებულ უნდა იქნეს ასლებად. ერთი დარჩება რევიზიის მომხდენი კავშირის გამგეობაში, ხოლო აქტისა და მოხსენების ასლები გაეგზავნება აქ. სასოფლო-სამეურნეო ბიუროს და აქსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს. რევიზია-მოხდენილ ორგანიზაციაში დაიტოვება აქტის ერთი ცალი უმოხსენებოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** ამას გარდა, რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში გაიგზავნება იმ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რევიზიის აქტები და მოხსენებები, რომელნიც აწარმოებენ საკრედიტო ოპერაციებს, ხოლო ა|კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკშე—რესპუბლიკანურ კავშირთა რევიზიის აქტები და მოხსენებები.

8. სარევიზიო მოხსენებები და აქტები განიხილება და შეფასდება რესპუბლიკანურ კავშირთა საორგანიზაციო კოლეგიის პერიოდულ სხდომებზე, რათა ინსტრუქტორების მუშაობას მუდმივი მეტოდიური ხელმძღვანელობა გაეწიოს.

9. რესპუბლიკანურ კავშირთა გამგეობანი და ა|კ. სასოფლო-სამეურნეო ბიუროო მოვალენი არიან თვალყური ადევნონ სარევიზიო საქმის წესიერად დაყენებას და სათანადო ღონისძიება მიიღონ როგორც სარევიზიო მასალების გამოყენებისათვის რესპუბლიკანური კავშირის მიმდინარე მუშაობაში, ისე რევიზიის მიერ აღმოჩენილი რევიზია-მოხდენილი ორგანიზაციების ნაკლის დაუყონებლივ თავიდან აცდენისათვის; თანაც რევიზიის მიმდინარეობისა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ ეცნობება ა|კსფსრ—სა და მასში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს თვეში ერთხელ მაინც.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1225 №-ში 1926 წ. ივლისის 13-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**690. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის გაუქმებისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს დაარსების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციასთან, ჯაშუშობასთან და ბანდიტიზმთან, აგრეთვე თანამდებობრივ დანაშაულობასთან საბრძოლველად დაარსებულ იქნეს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

2. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისია და მისი ადგილობრივი ორგანოები, რომელთაც შესცვლიან ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო და მისი ორგანოები ა|კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ერთი თვის ვადაზე წარუდგინოს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და მისი

ორგანოებისა და აგრეთვე მასთან არსებული განსაკუთრებული თათბირის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1233 №-ში 1926 წ. ივლისის 23.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**691. ამიერკავკასიის საჰაერო და ქიმიური თავდაცვისა და მრეწველობის მეგობართა საზოგადოებისა და მისი ორგანიზაციების ადგილობრივი გადასახადით და გამოსაღებით დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადით და გამოსაღებით დაბეგვრისაგან ამიერკავკასიის საჰაერო და ქიმიური თავდაცვისა და მრეწველობის მეგობართა საზოგადოება და ყველა მისი ორგანიზაცია და საწარმო, რომელიც-კი აკსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში მოქმედობს, ავტონომიურ, რესპუბლიკებისა და ოლქების გამოუნაკლისად, უკეთუ აღნიშნულ საწარმოთა ექსპლოატაცია სწარმოებს იჯარით გაუცემლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 20. ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1233 №-ში 1926 წ. ივლისის 23.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**692. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის საქალაქო და სამაზრო ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის დებულების გაუქმების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელისა და კავშირგაბმულობის გადაცემის შესახებ“ 1926 წ. მაისის 21-ს თარიღით გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღების გამო—გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლის ივნისის 29-ს დამტკიცებული დებულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში ქონებული საერთო სარგებლობის საქალაქო და სამაზრო ტელეფონის ქსელის მოწყობისა და შენახვის შესახებ (ა|კსფსრ კან. კრებ. 1925 წლის მე-7 №-რი, მუხ. 460.).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. ხანოიანი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1235 №-ში 1926 წ. ივლისის 25-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 693. ა/კ. რკ. გზ. ლიანდაგისკენ მიქცეულ მთის კალთებზე და ხეობებში აღმოცენებული ტყეების დაცულ ტყეებად გამოცხადების შესახებ.

ა/კ. რკ. გზის ლიანდაგის დაცვისათვის ღვარების ჩამოლამისა, მეწყერისა, მიწის ჩამოწოლისა და ზვავებისაგან, რაც შედეგია მთის კალთების გატიტვლებისა ტყის გამანადგურებელი კაფვის გამო, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაცულად იქნეს გამოცხადებული ყველა, გამოუნაკლისად, ტყე, რომელიც აღმოცენებულია ა/კ. რკ. გზ. ლიანდაგისკენ მიქცეულ მთის კალთებზე და ხეობებში, მთის ძირიდან დაწყებული პირველ წყალგამყოფ ქედამდე, ამასთანავე დართული სიის თანახმად.

2. ყოველგვარი ტყის მოჭრა ამასთანავე დართულ სიაში აღნიშნულ დაცულ ნაკვეთებზე უნდა სწარმოებდეს, როგორც ტყის მოვლის ღონისძიება, თანახმად რესპუბლიკანური ტყის კოდექსის სათანადო მუხლებისა—დაცულ ტყეთა შესახებ.

3. დაცული ტყის ნაკვეთებში აღიკრძალოს საქონლის ძოვება.

4. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცინტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიანდონ სათანადო ორგანოებს, ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან

ერთად, შეიმუშაონ და წარუდგინონ რესპულიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს დასამტკიცებლად სავალდებულო დადგენილებანი გზისათვის დაცული ტყის ნაკვეთების დაცვის შესახებ; თანაც აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ ხსენებულ სავალდებულო დადგენილებათა აღუსრულებლობა დაისჯება, როგორც ადმინისტრატიული გამგებლობის წესით გამოცემული სავალდებულო დადგენილების აღუსრულებლობა.

5. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეიტანონ თავიანთ სატყეო კოდექსებში დამატებანი ამა დადგენილების თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 20. ტფილისი-სასახლე.

# ს ი ა

**ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების იმ ტყეებისა ა/კ. რკ. გზ. ლიანდაგისკენ დაშვებულ მთის კალთებზე, რაც დაცულ ტყეებად არის გამოცხადებული.**

**საქართველოს სსრ-ში.**

ა. მთავარ ხაზზე.

1. მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყეები ძეგვისა და დიღომის ხიდებ შუა (264—276 ვერს).

2. ატენის ხეობაში მდინ. ტანის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით აღმოცენებული ტყეები, და აგრეთვე შავი ტყის ნაკვეთები სოფ. ბობნევისა და ბალოვანის რაიონში.

3. მდინ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყეები გორის სადგურთან, გორისჯვარის ტყის აგარაკის გამოსავალი (213—290 ვერს.).

4. რკ. გზ. ლიანდაგისაკენ დაშვებული მარჯვენა და მარცხენა მთის კალთები სურამის გვირაბიდან შორაპნის სადგურამდე, მათ ფარგლებში შემავალი ხეობებითა და ღელეებით (122 –165 ვერ.). სივრცე ყველა 4-ვე ნაკვეთისა ვარაუდით 18.770 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ბორჯომის ხაზზე.

მდ. მტკვრის ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყეები, მათ ფარგალში შემავალი ხეობებითა და ღელეებით, მტკვარზე გადებული ხიდიდან ბორჯომის სადგურამდე, სივრცით ვარაუდით 1.310 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

გ. ბაკურიანის ხაზზე.

მდ. შავი-ხევის მარცხენა ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყეები ბორჯომის სადგურიდან წაღვერამდე; ხოლო წაღვერიდან ცემამდე რიგ-რიგით მარჯვენე და მარცხნე ტყით შემოსილი მთის კალთები, რკ. გზის ლიანდაგისაკენ დაშვებულნი. ცემის სადგურიდან ბაკურიანის სადგურამდე მთლად მთის კალთებზე აღმოცენებული ტყე რკ. გზის ლიანდაგიდან მთის წყალგამყოფ ქედამდე და გზის ლიანდაგიდან ქვევით მთის ძირამდე. სივრცე ვარაუდით 2.500 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

დ. ჭიათურის ხაზზე.

მთების ორივე კალთებზე აღმოცენებული ტყეები, მათში შემავალი ხეობებითა და ღელეებით, შორაპნის სადგურიდან 22 ვერსზე გადებულ ხიდამდე და შემდეგ ამ ხიდიდან მთლად შენახული ტყეები რიგ-რიგით მარჯვენა და მარცხენა მთის კალთებზე, რომლებზედაც გზა გადის. სივრცე ვარაუდით 2.180 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

ე. ტყიბულის ხაზზე.

რიგ-რიგობით, მთების მარჯვენა და მარცხენა კალთებზე აღმოცენებული ტყეები, მათში შემავალი ხეობებით და ღელეებით, რაც გზის ლიანდაგისაკენ არის დაშვებული, მთელი ხაზის სიგრძეზე—საწირის სადგურიდან ტყიბულის სადგურამდე—ცნობილ იქნეს დაცულ ტყეებად და არა მარტო ის, რაც ლიანდაგიდან მაღლა მიიმართება, არამედ აგრეთვე ის ტყეებიც, რაც ლიანდაგიდან ქვევით არის დაშვებული მთის ძირამდე, ამ ადგილის დახრამვისაგან გადასარჩენად. სივრცე ვარაუდით 2.600 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

ვ. კახეთის ხაზზე.

ტყეები—მათში შემავალი ღელეებითა და ხეობებით—მთების ორივე კალთებზე მელაანის სადგურიდან გურჯაანის სადგურამდე და გურჯან-თელავის უბანში 111—112, 118—119, 122—123, 127—129 ვერსს შუა. სივრცე—6.300 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

## სომხეთის სსრ-ში.

1. მთების ორივე კალთებზე აღმოცენებული ტყეები—მათში შემავალი ღელეებითა და ხეობებით—კარაკლისის სადგურიდან სანაინის სადგურამდე, მთის-კალთების ძირიდან წყალგამყოფ ქედამდე, ხეობის სივიწროვის გამო და იმ საფრთხის ასაცილებლად, რომ მცენარეულობით შემოსილი ორივე მთის კალთები არ მოტიტვლდეს.

ამას გარდა, ის ტყეები, რაც აღმოცენებულია მთის ორივ კალთებზე ზა მაილნისა და სასი-სუ-ს ხეობის თავსა და ბოლოში (უბნებში), და რაც რკ. გზის ლიანდაგისაკენ დაშვებულია შაგალის სადგურის შორიახლო.

2. ტყეები სანაინის სადგურსა და სადახლოს სადგურ შუა რიგ-რიგობით მარჯვენა და მარცხენა მთის კალთებზე. სივრცე მთელს მანძილზე კარაკლისი-დან სადახლომდე ვარაუდით 20.000 გექტარამდე ან რამდენიც ნატურად აღ-მოჩნდება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **დ. ჰუსეინოვი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1235 №-ში 1926 წ. ივლისის 25-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 694. ა/კსფსრ ტერიტორიაზე გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-17 მუხლის შეფარდების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „გადასახადთა გადახდევინების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ" 1925 წ. ოქტომბრის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-18 მუხლის შესასრულებლად (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 517 და 518)— ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალ-ხო კომისართა საბჭოებს—დაწესონ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გადასახადის მენარჩენის თვითეული სახის ქონების რაოდენობა, რაზედაც, გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-17 მუხლის „თ", „ი", „კ", „ლ", „მ", „ნ", და „პ" პუნქტების თანახმად, არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადა-ხდევინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების მენარჩენის ქონების შეკვრა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მოხდება იმ წესების თანახმად, რასაც დამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**
ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ივლისის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1235 №-ში 1926 წ. ივლისის 25-ს.

# დადგენილება № 37/93 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. ივლისის 23.

**695. ფართლეულობაზე ცალობითი გაყიდვისას წანამატის დაწესების შესახებ.**

„ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად—ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომსარიატი, თავისი, 1926 წლის ივლისის 3-ს თარიღისა და 33—89 №-რის, დადგენილების დასამატებლად, ადგენს:

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის დადგენილების ის ნაწილი, რაც ფართლეულობისათვის ცალობითი გაყიდვისას წანამატის დაწესებას შეეხება (23 №-რის დადგენ. მე-4 პარაგრ.), ძალაში დარჩეს.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერკომაიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1235 №-ში 1926 წ. ივლისის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 25 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**696.** **ა/კსფს-რში ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების შეფარდების წესისა და ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტების მისაცემად არსებული ფონდის ხარჯვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 25-ს დადგენილების „ბ“ და „გ“ პ. პ. განსაზღვრული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების შეფარდების წესისა და ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტების მისაცემად არსებული ფონდის ხარჯვის წესის შესახებ.

1. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობად ითვლებიან ისეთი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმონი, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, გაერთიანებულ არიან სასოფლო-სამეურნეო ტრესტების მიერ და შედიან რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო შენაერთებში, როგორიც, მაგალითად, არიან: საქართველოს სახალხო მამულების ტრესტი, აზერბაიჯანის ღვინის ტრესტი, სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ტრესტი და სხვ. დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, რომელნიც სხვა დაწესებულების ექსპლოატაციაში არიან (მიწეილი საბჭოთა მეურნეობანი: შაქრის ტრესტი, სახელმწიფო სპირტი და სხვ.), აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობებზე და სხვ. აღნიშნული დადგენილების მოქმედება არ გავრცელდება.

2. რესპუბლიკანური საგადასახადო კომისია, სასოფლო-სამეურნეო ტრესტის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი მასალების თანახმად, განსაზღვრავს, რა სივრცისა იყო გასულ 1925 სამეურნეო წელს სასოფლო სამეურნეო ტრესტში შემავალ თვითეულ ცალკე მეურნეობაში წმინდა ჯიშის ნათესი.

3. უკეთუ წარსულ 1925 სამეურნეო წელს უწყებულ მეურნეობაში წმინდა ჯიშის ნათესს ეჭირა 40%-ზე არა ნაკლები მთლად მეურნეობაში დასაბეგვრი მიწისა—სახნავზე გადანაცვლებით, მეურნეობა სრულიად განთავისუფლდება 1925—1926 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

დასაბეგრი მიწის შედგენილობაში მოთავსებულ უნდა იქნეს მეურნეობის ყველა დასაბეგვრი ობიექტი, ოთხფეხი საქონლის გამოკლებით.

4. უკეთუ გასულ 1925 სამეურნეო წელს უწყებულ მეურნეობაში წმინდა ჯიშის ნათესს ეჭირა 40%-ზე ნაკლები მთლად მეურნეობაში დასაბეგრი მიწისა—სახნავზე გადანაცვლებით,—1925-1926 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახადისაგან განთავისუფლდება მხოლოდ ის სივრცე, რაც 1925 წ. წმინდა ჯიშის ნათესს ეჭირა.

5. უკეთუ გადასახადისაგან განთავისუფლებულია მხოლოდ მე-4 §-ში აღნიშნული სივრცე, იმ გადასახადის თანხიდან, რაც მეურნეობამ უნდა გაიღოს, გამოკლებულ უნდა იქნეს მარტო გადასახადის ნაწილი, იმის მიხედვით, თუ რა სივრცეა განთავისუფლებული და რა რაოდენობის საშუალო განაკვეთი მოდის დასაბეგვრ ერთეულზე ამა თუ იმ რესპუბლიკაში.

6. ტრესტად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც 1925-1926 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული არ არის ან განთავისუფლებულია მხოლოდ ნაწილობრივ, მოვალეა თითონ, უშუალოდ, ან თავისი სასოფლო-სამეურნეო შენაერთის (ტრესტის) მეშვეობით, შეიტანოს თავისი ხვედრი 1925-1926 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საფინანსო ორგანოების სალაროში არა უგვიანეს 1926 წლის აგვისტოს 1-სა.

7. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადის გადადება ან ვადებზე განაწილება არ შეიძლება.

8. საუბნო, სათემო თუ სადაირო ბიუჯეტში ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული 1925-1926 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხები გადაიცემა, საერთო წესისამებრ დადგენილი რაოდენობითა და რიგით. ხოლო ის თანხები, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს ერგება, უნდა გადაეცეს, შემოსვლისადა მიხედვით, რესპუბლიკანურ სასოფლო სამეურნეო ბანკებს განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური კაპიტალის სახით (განსაკუთრებული ფონდი საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტის მისაცემად) და იხარჯებოდეს მარტოოდენ ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობების საკრედიტოდ.

9. აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები დაადგენენ წესს საფინანსო ორგანოების მიერ მათთვის ზედმიწევნით შემოწმებული ცნობების წარდგენისას 1926 წლის აპრილის 1-დე (ხოლო შემდგომ—ყოველთვიურად) ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შესული 1925-1926 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხების შესახებ, სათანადო დანაწილებით საუბნო, სათემო თუ სადაირო ბიუჯეტში გადაცემულ თანხებზე და სახელმწიფო ნაწილის თანხებზე. ეს ცნობები ზედმიწევნით უნდა იყოს შემოწმებული, რათა სისწორით იქნეს განსაზღრული ის თანხები, რაც მარტოოდენ მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოვიდა.

10. ტრესტებად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული 1925—1926 წლის სასოფლო-სამეურნეო თანხები აღინუსხება ცალკე, დროებითი სადეპოზიტო ანგარიშის სახით, ასეთი სახელწოდებით „ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული 1925-1926 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხები". სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო შემოსავალში ეს თანხები არ უნდა იყოს მოქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თანხები-კი, რაც 1926 წ. აპრილის 1-დე შემოვიდა, გადარიცხულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ ანგარიშზე—ანგარიშების ბუხჰალტრული შესწორების მეშვეობით.

11. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები მოვალენი არიან წარუდგინონ აგვისტოს 1-ის ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ამასთანავე დართული ფორმით, ცნობები ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან აპრილის 1-დე შემოსული სასოფლო სამეურნეო გადასახადის თანხების შესახებ, და შემდგომ, იმავე ფორმით, ყოველთვე წარუდგინონ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ცნობები არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10-ს რიცხვისა.

12. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახელმწიფო ნაწილის თანხები, რაც, მინდობილობის წესისამებრ, სასოფლო-სამეურნეო ბანკებს უნდა გადაეცეს, კუთვნილებაა სახელმწიფო ხაზინისა და განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური კაპიტალის სახით სასოფლო-სამეურნეო ბანკის ადმინისტრატიულ განკარგულებაშია მარტოოდენ ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობების საკრედიტოდ.

13. სესხი ტრესტად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობას მიეცემა განსაზღვრული სარენტაბელო ღონისძიებისათვის, რასაც სააგრიკულტურო მნიშვნელობა აქვს.

14. სესხი გაიცემა მოკლევადიანი და გრძელვადიანი, ვადით არა უმეტეს 5 წლისა; ამასთანავე სესხის რაოდენობა და დაფარვის ვადა განისაზღვრება იმ ღონისძიებათა ხასიათის მიხედვით, რომლის განხორციელებისათვისაც ეს სესხი გაიცემა, და იმის მიხედვით, თუ კრედიტ-მისაცემ საბჭოთა მეურნეობას რამდენად ესაჭიროება ეს სესხი.

15. ფონდის დახარჯვის გეგმებს დაადგენენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და სასოფლო-სამეურნეო ბინკებთან შეთანხმებით. ეს გეგმები უნდა ეცნობოს აგრეთვე ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

16. ზემოაღნიშნული ფონდის გამოყენების შემდეგ, რესპუბლიკანური სასოფლო-სამერნეო ბანკები ყოველწლივ წარუდგენენ სათანადო რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს დაწვრილებითი ანგარიშებს, რის ასლიც ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაეგზავნება.

17. ფონდის ლიკვიდაცია მოხდება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დ ა ნ ა რ თ ი:**

საანგარიშო ნუსხის ფორმა.

# ნ უ ს ხ ა.

ტრესტებად მოწყობილ სასოფლო მეურნეობათაგან შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხებისა.

1926 წ. . . . . თვისათვის.

| **რესპუბლიკა.** | სულ შემოვიდა 1925-26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, წარსული წლის ნარჩენი და საურავი. | მათ შორის: | | შ ე ნ ი შ ვ ნ ა. |
|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფოს ნაწილი. | გადაიცა საუბნო, სათემო და სადაირო ბიუჯეტში. | |
| | | | | |

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ივლისის 15. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია-ვოსტოკა“-ს 1239 №-ში 1926 წ. ივლისის 30-ს.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

19/VI—26. შეკ. № 7972/1304. მთავარლიტ № 925. დაიბეჭდა 800.